კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია აღწეროს თუ როგორ ამუშავებს **სს სადაზღვევო კომპანია ევროინსი** თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციას და მონაცემებს. აღნიშნული დოკუმენტით გვსურს გაგიზიაროთ თუ რა საფუძვლით და მიზნით მოვიპოვებთ და ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და რა სამართლებრივი და ტექნიკური საშუალებებით ვიცავთ მათ. კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიღებით თქვენ აცნობიერებთ და აცხადებთ, რომ თქვენთვის გასაგებია და თანახმა ხართ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდეს ამ პოლიტიკის შესაბამისად.

1. ჩვენს შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) კონფიდენციალურობის პოლიტიკას (შემდგომში – პოლიტიკა), რომელითაც განიზაღვრება მონაცემთა დამუშავების მიზნები და საშუალებები.

2. ვისთვის არის გამიზნული წინამდებარე დოკუმენტი?

წინამდებარე დოკუმენტი გამიზნულია **კომპანიის** მომხმარებლებისთვის (მათ შორის ყოფილი და/ან მომავალი) ან სხვა ნებისმიერი პირისთვის, ვინც გამოხატა ინტერესი კონკრეტულ პროდუქტთან დაკავშირებით და რომელთა მონაცემებიც დამუშავდება მომსახურების მიწოდების ფარგლებში.

შესაბამისად, ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიზანია მოვახდინოთ შემდეგი კატეგორიის ფიზიკური პირების ინფორმირება მათ მონაცემთა დამუშავების შესახებ:

- ჩვენი მომხმარებლები;
- ჩვენი მომავალი პოტენციური მომხმარებლები;
- ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ჩვენ მომსახურებას ან პროდუქტებს (მაგალითად: ჩვენი მომხმარებლების ოჯახის წევრები, კორპორაციული მომხმარებლის დასაქმებულები);
- ჩვენი ყოფილი მომხმარებლები;
- ჩვენი ვებ–გვერდის ვიზიტორები და მობილური აპლიკაციის მომხმარებლები;
- როგორც ჩვენი მომხმარებელი, შესაძლებელია, რომ თქვენ გაგვიზიაროთ შემოთავაზებული მომსახურებით სარგებლობის მიზნით თქვენი ოჯახის წევრებს, მეგობრების პერსონალური ინფორმაცია. მაგალითად, ეს მოხდება მაშინ როდესაც აპლიკაციაში მომსახურების მიღების მიზნით დაარეგისტრირებთ მესამე პირის პერსონალურ მონაცემებს რაც მოიაზრებს, რომ ჩვენ დავამუშავებთ ცალკეულ მონაცემებს მათ შესახებ და შესაბამისად ეს კონფიდენციალურობის პოლიტიკა მოიცავს ამგვარ დამუშავებასაც. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია მათთან ურთიერთობა და კომუნიკაცია და შესაბამისად არ გაგვაჩნია მათი ინფორმირების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც ჩვენი მომხარებელი, თქვენი პასუხისმგებლობით მოახდენთ მათ ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ.

3. როგორ ხდება ჩვენს მიერ მონაცემების შეგროვება?

ჩვენთვის თქვენი მონაცემების შეგროვება ხდება:

თქვენს მიერ **აპლიკაციაში რეგისტრაციის შედეგად** (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აპლიკაციაზე ოპერირებთ, როგორც სტუმარი, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში ვერ ისარგებლებთ შემოთავაზებული სერვისით) ავტორიზაციის, პროფილის შევსების, ან/და პოლისის შეკვეთისას;

4. რა არის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი?

ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებია:

- თქვენს მიერ **კომპანიის** პროდუქტებით სარგებლობის უზრუნველყოფა;
- **კომპანიის** ახალი პროდუქტების შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მოწოდება;
- მარკეტინგული აქტივობების განხორციელება (თქვენს მიერ შესაბამისი თანხმობის შემთხვევაში);
- ჩვენი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

5. რა სახის მონაცემების დამუშავება ხდება ჩვენს მიერ?

თქვენს შესახებ ინფორმაცია და მონაცემები რომელთა შეგროვებაც, შენახვა, გამოყენება და დამუშავებაც შეგვიძლია, შეიძლება მოიცავდეს, შემდეგ მონაცემებს:

- **პერსონალური მონაცემები:**

მომხმარებლის პირადი გვერდის (ანგარიშის/პროფილი) დეტალები:

თქვენს მიერ მომხმარებლის ანგარიშის (პირადი გვერდის/პროფილის) გახსნისას (რეგისტრაციისას) და **კომპანიის** სერვისებით სარგებლობისას, თქვენი დაკვეთის/მოთხოვნის დამუშავებისთვის/შესრულებისთვის და წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნებისთვის ჩვენ გთხოვთ თქვენს შესახებ კონკრეტული პერსონალური მონაცემების მოწოდებას, როგორიცაა:

- **საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები:** ეს არის ინფორმაცია, რომლითაც ხდება თქვენი იდენტიფიცირება და თქვენთან კომუნიკაცია (სახელი და გვარი, მისამართი, საკონტაქტო (მობილური) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ჩვენ პორტალზე რეგისტრირებული სახელი და სხვა იდენტიფიკატორი). მოქალაქეობა, პირადობის ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი, თქვენი პასპორტის ნომერი;
- **პირადი ნომერი:** პირადი 11 ნიშნა ნომერი ან დოკუმენტის ნომერი, რაც აღნიშნულია თქვენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში ან პასპორტში;
- **პირადი მახასიათებლები:** ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება თქვენ სპეციფიკურ მახასიათებლებს/ნიშან-თვისებებს, როგორიცაა ასაკი, სქესი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა და სხვა);
- **მონაცემები მომხმარებლის აქტივობების შესახებ:** ინფორმაცია, როგორიცაა ნებისმიერი ჩანაწერი თქვენი, როგორც მომხმარებლის ჩვენთან კომუნიკაციის შესახებ, ჩვენ პორტალზე, ვებ-გვერდზე ან აბონენტთა მომსახურების ოფისში ვიზიტი, გააქტიურებული და შეძენილი მომსახურებები და პროდუქტები, IP მისამართი, მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია, გადახდების შესახებ ინფორმაცია;
- **კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაცია:** ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ჩვენს მიერ ორგანიზებული კვლევის ფარგლებში, ჩვენს მიერ თქვენთვის დასმულ კითხვებს და მასზე გაცემულ თქვენ პასუხებს, როგორიცაა მათ შორის ჩვენი მომსახურების ხარისხი, კმაყოფილება და მოთხოვნები;
- **ფინანსური ინფორმაცია:** ფინანსური მდგომარეობა; სტატუსი და ფინანსური საქმიანობის ისტორია; საკრედიტო ისტორია; კრედიტუნარიანობა; კომპანიაში ფინანსური პროდუქტის გამოყენების ისტორია; ფინანსური ისტორია, მათ შორის ვადაგადაცილებები; შემოსავლების

შესახებ ინფორმაცია; ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის საბანკო ანგარიში ნომერი;

- **ლოგ-ინ ისტორია:**

სერვისების ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და მომხმარებლისთვის უკეთესი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩვენ ვაგროვებთ თქვენი მოწყობილობით გადმოცემულ ტექნიკურ ინფორმაციას (მაგ. თქვენს მიერ შეძენილი პროდექტების ისტორია, შესვლის დრო და ა.შ.).

(შენიშვნა: *ცალკეულ შემთხვევებში, ჩვენ შესაძლებელია მოვიპოვოთ მესამე პირებისაგან თქვენ შესახებ გარკვეული მონაცემები, როგორიცაა საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები და პირადი მახასიათებლები.)*

6. **რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს**?

კომპანია უზრუნველყოფს თქვენი პერსონალური მონაცემების თანმიმდევრული და მაღალი ხარისხით დაცვასა და უსაფრთხოებას.
თქვენს მონაცემებს ვინახავთ იმ ვადით, რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად. თქვენი მონაცემები შეინახება წინამდებარე პოლიტიკის, კანონით და მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად.

7. **ვის ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს?**

საჭიროების შემთხვევაში, მონაცემების დამუშავების საფუძვლების არსებობისას, კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად თქვენი პერსონალური მონაცემები შეგვიძლია გავუზიაროთ ჩვენი **კომპანი**ის შესაბამის უფლებამოსილ დასაქმებულებს და ქვემოთ ჩამოთვლილ სხვა პირებს:

- თქვენს კანონიერ წარმომადგენელს;
- სამართალდამცავ ორგანოებს, მარეგულირებელს ან კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ორგანოებს;
- მესამე მხარეებს, ვისთვისაც გვთხოვთ (ან ნებას გვრთავთ) თქვენი მონაცემების გაზიარებას;
- მესამე მხარეებს, ვისთვისაც ინფორმაციის გაზიარება აუცილებელია თქვენს მიერ მოთხოვნილი პროდუქტების მიწოდების უზრუნველსაყოფად (მაგ. ბანკები);
- მომსახურების პროვაიდერებს – კომპანიებს, რომლებიც გვიწევენ მომსახურებას ან გასწევენ მომსახურებას ჩვენი სახელით;
- ჩვენი მხრიდან მონაცემები შეიძლება გაზიარდეს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ კომპანიებთან, იმ შემთხვევაში თუ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ქვეყანაში არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მესამე პირს.

8. **როგორ ვიცავთ თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებას?**

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებების დანერგვას და განხორციელებას. ჩვენ მიერ დანერგილ იქნა უსაფრთხოების სათანადო ფიზიკური, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა მოხდეს არასანქცირებული წვდომის პრევენცია და ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა.
ჩვენი მომხმარებლების პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, ჩვენ ვიყენებთ კონტროლის სტანდარტულ პროცედურებს და საშუალებებს, როგორიცაა, მაგალითად:

- დაშიფრული კავშირი;
- აუთენტიფიკაციის და წვდომის კონტროლი;

9. ონლაინ უსაფრთხოება

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით ვიღებთ ყველა საჭირო ზომას, სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში არ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმ პირების ქმედებებზე, რომლებიც ახორციელებენ არასანქცირებულ წვდომას, ბოროტად იყენებენ ან ტეხავენ სერვერებს. ჩვენ არ ვიძლევით აშკარა, ნაგულისხმევ ან სხვაგვარ გარანტიას, გარდა იმისა, რომ მივიღებთ ყველა ზომას ამგვარი შეღწევის პრევენციისთვის.

10. თქვენ უფლება გაქვთ:

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე;
- მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება;
- გაითხოვოთ თანხმობა, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების საფუძველს; თანხმობის გათხოვისათვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

11. გამოყენების პირობები

თქვენს მიერ **სადაზღვევო კომპანიის** აპლიკაციის გამოყენება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გვერდზე ოპერირებთ, როგორც სტუმარი) ნიშნავს, რომ თანახმა ხართ ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე. კონფიდენციალურობის პოლიტიკა წარმოადგენს აპლიკაციის პირობების განუყოფელ ნაწილს.

12. თქვენი ვალდებულებები

მომსახურების მიღების მიზნით აუცილებელია გვქონდეს თქვენს შესახებ სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია, აქედან გამომდინარე გთხოვთ, თქვენი საკონტაქტო და ან სხვა ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში შეგვატყობინოთ.

13. კავშირი ჩვენთან

დაგვიკავშირდით _____-ზე, თუ გაქვთ კითხვები ან გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია, თუ როგორ ვახდენთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

დანართი N1: მონაცემთა სუბიექტის წერილობით თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე:

ვაცხადებ თანხმობას ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, კერძოდ: სახელი და გვარი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი, სქესი, IP მისამართი, მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია, გადახდების შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქტის ან/და ნებისმიერი სხვა შესაბამისი სახის მომსახურების შეთავაზების/გაწევის მიზნით, შეაგროვოს/დაამუშავოს, შეინახოს, დააარქივოს ჩემს შესახებ პერსონალური ინფორმაცია **სს სადაზღვევო კომპანის ევროინს ჯორჯიამ**. ასევე ვაცხადებ თანხმობას ჩემი პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე, ჩაწერაზე, ორგანიზებაზე, შენახვაზე, შეცვლაზე, აღდგენაზე, გამოთხოვაზე, გამოყენებაზე, დაბლოკვაზე, წაშლა ან განადგურებაზე. წინამდებარე თანხმობა გაცემულია ჩემს მიერ თავისუფლად, ჩემი ნება-სურვილით და ემსახურება ჩემს ინტერესს.

აღნიშნული თანხმობის ელექტრონულად მონიშვნით/აღიარებით თქვენ ადასტურებთ, რომ ამავდროულად ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს ზუსტ და უტყუარ მონაცემებს. ინფორმაციის მოწოდება მოხდა თქვენი საკუთარი სურვილით და ამისათვის თქვენ გაგაჩნიათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და ნებართვა.

მოგახსენებთ, რომ თქვენზე მოპოვებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია მკაცრად იქნება დაცული კომპანიის მიერ და ვიძლევით აბსოლუტური კონფიდენციალურობის გარანტიას კანონის მოქმედების ფარგლებში. მესამე მხარისათვის თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება მოხდება მხოლოდ მომსახურების მიზნებიდან გამომდინარე და კანონით განსაზღვრული შემთხვევების შესაბამისად.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ თქვათ უარი თქვენ მიერ გაცხადებულ თანხმობაზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, შემდეგ მისამართზე (ელ-ფოსტა - _____) წერილობითი შეტყობინების ან ცხელ ხაზზე დარეკვის _____ გზით, რა შემთხვევაშიც კომპანია შეწყვეტს თქვენი იმ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომლის დამუშავებაზეც თქვენ განაცხადეთ უარი.

ვეთანხმები / არ ვეთანხმები

თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის

გამოვხატავ თანხმობას და უფლებას ვაძლევ სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯიას (შემდგომ „კომპანია“) დაამუშავოს ჩემი პერსონალური მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი, ჩემთვის რეკლამის/შეთავაზებების გამოგზავნის მიზნით და გამომიგზავნოს რეკლამები/შეთავაზებები ჩემს ტელეფონის ნომერსა და ელ. ფოსტის მისამართზე.

ინფორმირებული ვარ, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩემი პერსონალური მონაცემთა დამუშავება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად ექვემდებარება მხოლოდ ჩემი თანხმობის არსებობას.

ჩემ მიერ თანხმობა გაცემულია უვადოდ, მის გამოხმობამდე. ამასთან, ინფორმირებული ვარ, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია უკან გამოვიხმო აღნიშნული თანხმობა, მოვითხოვო პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების, ასევე რეკლამების/შეთავაზებების მიღების შეწყვეტა, კომპანიისთვის ელ. ფოსტის მეშვეობით შეტყობინების გაგზავნის (_____) ან ცხელ ხაზზე (_____) დარეკვის გზით.

ასევე, ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტის მისამართზე კონკრეტული რეკლამის/შეთავაზების მიღებისას უარის თქმის მექანიზმის გამოყენების ან ნებისმიერ სერვის ცენტრში განაცხადის დაწერის გზით. აღნიშნულ შემთხვევაში, კომპანია ჩემი მოთხვონის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა შეწყვეტს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

თანხმობის მიცემისა და თანხმობის გამოხმობის დრო და ფაქტი აღირიცხება და კომპანიის მიერ შეინახება პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების ვადით და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შეწყვეტიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

მოგახსენებთ, რომ თქვენზე მოპოვებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია მკაცრად იქნება დაცული კომპანიის მიერ და ვიძლევით აბსოლუტური კონფიდენციალურობის გარანტიას კანონის მოქმედების ფარგლებში. მესამე მხარისათვის თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება მოხდება მხოლოდ მომსახურების მიზნებიდან გამომდინარე და კანონით განსაზღვრული შემთხვევების შესაბამისად.

ვეთანხმები / არ ვეთანხმები